საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 7 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი (ადგილ ზომიერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ყველა მიწერ-მოწერის ... შემდეგი ადრესით გამოგზავნეთ: Тифлисъ—Почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 265 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 265

კატო ილიას ასული გაბუნიასი უგულითადეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც მისი ძვირფასი ქმრის

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალების გამო გასვენებაზე პირადი დასწრებით ან წერილობით მონაწილეობა მიიღო მის მწუხარებაში და სამძიმარი გამოუცხადა. 1—1

ღრმად დამწუხრებული მამა, დედა და და ლომიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 8 დეკემბერს, (ძვ. სტ. 25 ნოემბერს) დილის 10 საათ. წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილი

მიხეილ გიორგის ძე ლომიძის

სულის მოსახსენებლად. 1—1

ღრმად დამწუხრებული ძმა გიორგი მალაქიას ძე ლომთათიძე და ამხანაგი სოფრომ ორმოცაძე აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს სახალხო გვარდიელის (ჯავშნოსანი მატარებელ № 2.) ძვირფასი ამხანაგის

ილარიონ მალაქიას ძე ლომთათიძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 4 დეკემბერს, ქ. თფილისში რკ. გზ. საავადმყოფოში.

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, მეუღლე ნინო, დები მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 დეკემბერს (ახალი სტილით) ქ. თელავში იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის, მეოთხე კლასის მოწაფის

თამრო ბოძაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა იქნება გადახდილი ხვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე, მის საფლავზე (3—1)

ღრმათ დამწუხრებულნი, მეუღლე—რებეკა, მშობლები, ლაზარე და ქრისტინე, ძმები—იაკინთე და რუბენა, რძლები: ნინა და ანასტასია და ბიძა ვარლამ, ელენა, შოთა, ზუკა და კარგინა მიქაძეები, სერგო და ეფროსიმე გოგოლაიშვილები, შვილებითურთ ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ დ ნაცნობ მეგობრებს

ილიკო ლაზარეს ძე მიქაძის

გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელათ გამოთხოვება მოხდება კვირას,—8 დეკემბერს (ახ. სტ.), ნაშუადღევის 2 საათზე, სოფ. ჩხენიშში (საკუთარ სახლში).

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე გიორგი გლახუნის ძე და შვილი ლილი გოგოტიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 6 დეკემბერს ქ. თფილისში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი სახალხო სკოლის მასწავლებელი

ნინა იასონის ასული გოგოტიშვილისა

ცხედრის გამოსვენება ბინიდან (პუშკინის ქ. № 4) თფილისის სადგურზე დანიშნულია 7 დეკემბერს, ნაშუადღევს 2 საათზე. დაკრძალვა მოხდება გურიაში სოფელ ვაკიჯვარის წმინდა კვირიაკეს ეკლესიის გალავანში 10 დეკემბერს დილით სამშაბათს. (3—1)

გულდათუთქული დედა მარიამ სიმონის ასული სიდამონიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლეს ერთად ერთის შვილის

პეტრე ვასილის ძე სიდამონიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## სახალხო გვარდიის დღე

12 დეკემბერი სახალხო გვარდიის დღეა.

ერთი წლიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც თფილისის პროლეტარიატი სათავეში ჩაუდგა ქვეყნის დაცვის საქმეს და ამით ცხად ჰყო, რომ პროლეტარიატის ინტერესები არამც თუ ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს,—პირიქით, სავსებით ეთანხმება მათ.

შარშან, 29 ნოემბერს, თფილისს და მთელი კუთხის დემოკრატიას საშინელი საფრთხე ელოდა: მობალშევიკე ჯარისკაცებმა ხელში იგდეს არსენალი და გზადაბნეულ მეთაურების ჩაგონებით რევოლიუციის მონაპოვართ განადგურებას უქადდენ. მათი გაბატონება ჯერ არ არის, გახდებოდა დასაწყისათ იმ ექსპერიმენტებისა, რომელმაც დიდი რუსეთი დღუპვის კარამდე მიიყვანა.

დღეს, როცა საფრთხე აღარ არსებობს, ბევრი ვეღარ გრძნობს სიდიადეს იმ ღვაწლისას, რომელიც გვარდიამ დასდო მთელს ერს.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ამ ერთი წლის წინათ ვიმყოფებოდით, ჩვენთვის ცხადი გახდება ის, თუ როგორ მუშა თავდადებულმა მუშებმა როგორ იხსნეს სამშობლო ანარქიისა და არევ-დარევისაგან.

მადლიერი სამშობლო არ დაივიწყებს გმირთა თავგანწირულებას; შეგნებული დემოკრატია არასოდეს არ უღალატებს იმ იდეალებს, რომლისთვისაც მუშებმა გვარდიის სახით თავი დასდეს; მეცხოვრებლები, განურჩევლათ ეროვნებისა, არ დაივიწყებენ თავიანთ წვლილს ბრძოლაში დაღუპულ და დასახიჩრებულ გვარდიელთა ოჯახების დასახმარებლად.

ჩვენ კი მხურვალეთ ვუსურვებთ სახალხო გვარდიას, რომ ის ბოლომდის შეინარჩუნებდეს იმ პოსტს, რომელზედაც დგომამ მას საშუალება მისცა დაემარცხებინა მრავალრიცხოვანი და კარგათ შეიარაღებული ბანდიტური ლაშქარი—ეს პოსტია მჭიდრო კავშირი ხალხთან. მხოლოდ ამ ტრადიციების შენარჩუნება იქნება სახალხო გვარდიის ხელში ის უძლეველი ძალა, რომელსაც შეუძლია ყოველგვარ ხიფათის დათრგუნვა.

## რა ხდება ჩვენს რკინის გზაზე?

(გზათა სამინისტროს საყურადღებოთ).

ჩვენში ძალიან გავრცელებულია ის აზრი, რომ ყოველგვარი უწესოება საერთაშორისო ომით და შინაურ ანარქიით არის გამოწვეული.

რკინის გზის მოუწყობლობასაც აღნიშნულ მიზეზით ხსნიან.

მაგრამ ის, რაც მე ჩემი თვალით ვნახე ამ დღეებში, არ შეიძლება აიხსნას ამ ზემოხსენებული მიზეზით.

შემთხვევა მქონდა მემოგზაურნა სამტრედიიდან თფილისამდე. სამტრედიიდან გამოვედით პირველ დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე საფოსტო მატარებლით და თფილისში მოვედით ორშაბათს, საღამოს თერთმეტ საათზე. ამგვარათ, გზაში დავყავით ოცდა ერთი საათი.

მე არ მინდა შევეხო საქმის ტეხნიკურ მხარეს: შესაძლოა, მართლა აუცილებელი იყო სადგურსა და სადგურს შუა გაჩერება ორთქლის მოსამარაგებლად. შესაძლოა, არ მოეთხოვებოდეს რკინის გზის ადმინისტრაციას ვაგონებში სისუფთავის დაცვა: ჯერ არ მიუღწევია ჩვენს საზოგადოებას საამისო განვითარებამდის. მაგრამ ნუ თუ ძნელი საქმეა კონდუქტორისათვის მგზავრებს ბილეთები გაუსინჯოს. მე და ჩემი თანამგზავრი კი ისე მოვედით თფილისში, რომ არავის ჩვენთვის ბილეთი არ მოუთხოვია—არც კონდუქტორს (ჩვენ ვიჯექით ვაგონში № 110), არც კანტროლიორს, თუმცა ორმა კანტროლიორმა ჩაიარა. ვთქვათ, ჩვენ ვერ შეგვნიშნა, მაგრამ რით მოხდა, რომ ზოგიერთ უბილეთოს ფულიც გადაახდევინეს, მაგრამ კვიტანციები კი არ მისცეს. არავინ იფიქროს, ვითომ ცილს დავსწამებდეს: რამდენიმე კაცი დაჟინებით ითხოვდა კვიტანციას, მაგრამ ისე მოვიდნენ თფილისში, რომ კვიტანციის მიღებას ვერ ეღირსენ. მე არ ვამბობ მაინც და მაინც, რომ აღებული ფული რკინის გზის კასაში არ შესულა, მაგრამ რა მოსაზრებით არ მისცეს კვიტანცია?.. ასევე მოიქცენ ბარგის შესახებაც. ერთს მგზავრს ბილეთორის ახლოს გადაახდევინეს ფული ფქვილის ტომრის და კალათის შეტანისთვის, მაგრამ ეს მგზავრი ისე მოვიდა თფილისში, რომ კვიტანცია არ მიუღია.

ორიოდე სიტყვა ბარგის შესახებ. მე ვიჯექი მეორე კლასის ვაგონში და ეს ვაგონი ფქვილით სავსე ტომრებით ისე ამოირთხა, რომ გავლა არ შეიძლებოდა. შემოიტანეს ეკვანი და ასე გასინჯეთ ცოცხალი ქათმები და კურდღლის ბაჭიებიც კი შემოიყვანეს. როცა კონდუქტორს მივუთითე, ხელი ჩაიქნია და მიპასუხა: წავიდა ის დრო, ალია მოკვდა ამისთვის არავინ არ დამსჯისო. რამდენი შემოსავალი ეკარგება რკინის გზას და როგორი ვიწროობა და უსუფთაობა იქმნება—ამას არავინ კითხულობს, მაგრამ დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ტომრების და საზოგადოთ ყოველგვარ ბარგის შეზიდვა სამგზავრო ვაგონში აუცილებელიც ყოფილა: თუ ბარგი საბარგო ვაგონში მოათავსე სავსებ ხდება მისი მიღება და თუ ბედნიერი აღმოჩნდი და არ დაგეკარგა, შენს ბარგს მიიღებ დაგვიანებით და განახევრებულს. მე თითონ წამოვიღე რამდენიმე ფუთი და დღეში ორჯერ დავდიოდი, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი. შეკითხვებზე—მოძებნეო მიპასუხებენ და თუ შენ თითონ არ იცნობ შენს ბარგს, უმწეო ხარ იპოვო იგი. თითქმის მთელი საათი ვიდექი კასასთან და რიგიან პასუხსაც ვერ ვეღირსე. პირიქით, გამლანძღეს კიდეც. როცა ვკითხე, მითხარით, დაახლოვებით მაინც როდის იქნება მეთქი, კასირმა მიპასუხა: კაცს მგავხარ და როგორ არ იცი, რომ ასეთი კითხვებით არ უნდა მომაცდინოო. ხოლო როცა ასეთ თავხედურ მოქცევის წინააღმდეგ პროტესტი განვაცხადე, ვიღაც ახალგაზდამ (ბოლოს წესიერების დამცველი შენგელია აღმოჩნდა და დაჭერა მოინდომა. ჩემი მოწმობა ვუჩვენე, რუსულათ წამოიძახა: гордитесь что ли званіемъ члена парламента"-ო.

ასე ექცევიან სხვებსაც, მე თითონ ვნახე ჩემი თვალით, თუ როგორ უყვირიან საკითხავით მისულ მგზავრებს...

ვფიქრობ, ასეთ უწესოების მიზეზობას არ სჭირია არც მაზუთი და არც კარგი ორთქლმავალები.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და დახსნილ იქნას რკინის გზა განადგურებისაგან.

ქ. ნინიძე.

## პრესა

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ნახევარ წლის დღესასწაულის გამო ყველა გაზეთებმა გამოსთქვეს თავისი აზრი, სხვათა შორის დაშნაკცაკანების გაზეთებმაც.

„გაზ. „აშხატავორი" სწერს: „რა გარემოებაშიაც უნდა დაწყებულიყო ახალი საპარლამენტო ცხოვრება, რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს ახალ სახელმწიფოს მთავრობას,—ყოველ დამოუკიდებლობას ჩვენ ვთვლით დიდებით და დემოკრატიულ მოვლენათ. ამ მხრივ დამოუკიდებლობა რესპუბლიკანურ საქართველოსი, რასაკვირველია, ღირსია მხარის დაჭერის და გამაგრების...

უეჭველია, ჩვენი ნათქვამი ცუდათ გაიგეს, მაგრამ ჩვენ აი რა გვინდოდა გვეთქვა: ჯერ ერთი, ჩვენ თვით დამოუკიდებლობას ვთვლიდით სუსტათ და არა უზრუნველყოფილათ, მეორე, როგორც პარლამენტს, ისე, მით უმეტეს, მთავრობას ჩვენ არ ვთვლიდით უნაკლოთ. კავკასიის ერთა დამოუკიდებლობა გამოცხადებული იყო ოსმალ გერმანელთა იმპერიალიზმის კარნახით, და არა თვითგამორკვევის წესით. ჩვენ თავის დღეში არ აღვშფოთებულვართ ამა თუ იმ დამოუკიდებლობის თვით ფაქტით, ჩვენ ის გვაშფოთებდა, რომ მის საფუძველთა გარეშე ძალის ჰირველობა დ ნება ედო.. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეხლა მაინც სწორეთ გაიგებენ ჩვენს აზრს ქართველი სოციალისტები—მენშევიკები, რადგან ჩვენი კრიტიკით ჩვენ ჭეშმარიტ—დემოკრატიულ საქმეს ვაკეთებთ და ვრჩებით ჭეშმარიტ-მეგობრებათ საქართველოს რესპუბლიკისა, მის გამაგრების და გაფურჩქვნის დამხმარებლად".

„ნორ-ორიზონი" ასე უცქერის საქართველოს დამოუკიდებლობას:

„თუმცა საქართველოს დამოუკ. გამოცხადების დღიდან ჩვენ ხშირათ გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულება, მაგრამ ჩვენ საჭიროთ ვთვლით ერთხელ კიდევ გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ საკითხის გამო... იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით, ჩვენ ყოველთვის აშკარათ და გარკვეულათ ერთი-ერთმანეთისაგან ვაცალკევებდით საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ ხაზს და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. ჩვენ ვებრძოდით ანტიდემოკრატიულ, არა მეზობლურს და ნაციონალისტურ პოლიტიკას საქ. მთავრობისას, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ ეს ბრძოლა და კრიტიკა არ ეხება იდეას, რომელსაც ქართველ ხალხის თვალში უმაღლესი ღირებულება აქვს—მის ქვეყნის დამოუკიდებლობას... ჩვენ მეტსაც ვიტყვით: ჩვენის აზრით, რაც უფრო ძლიერი, მაგარი და შეუდრეკელი იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა იმ ერისა, რომელიც ჩვენს ბედში იმყოფება, მით უფრო მოიგებს ჩვენი ერიც.

„კავკ. სლოვოს" მოწინავეში ამნაირი ადგილებია: „დღეს თუ თვალს გადავავლებთ დამოუკიდებლობას დღიდან განვლილ 6 თვეს, ჩვენ თუმცა უარს არ ვამბობთ ჩვენს დათანხმებაზე მთავრობის ამა თუ იმ ნაბოჯმედარის და ზომების, მაგრამ მაინც არ უნდა ვთქვათ, რომ საქართველო და მისი მთავრობა საზოგადოთ გამარჯვებულნი გამოვიდნენ იმ გასაჭირთაგან, რომლებიც გამოიარა საქართველოს სახელმწიფომ, და საქმეზე გვიჩვენეს, რომ ამ სახელმწიფოს შესწევს სიცოცხლის უნარი და მის დღევანდელ მთავრობას შეუძლიან გაატაროს სახელმწიფო გემი წყალქვეშა კლდეთა და ქარიშხალთა შორის. არსად რუსეთის საზღვრებში, რამდენთაც კი ცნობები მოგვდის, არ დამყარებულა ისეთი მტკიცე დემოკრატიული წესი არც ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომლებიც კი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა, არ შენახულა რევოლიუციის იმდენი მონაპოვარი, როგორც საქართველოში. მოქალაქის პიროვნება, მისი მოქალაქობრივი, პოლიტიკური და ქონებრივი უფლებები არსად ისე უზრუნველყოფილი არ არის ანარქისტულ და ანტისაზოგადოებრივ ელემენტებისგან, როგორც ამ სახელმწიფოში"...

* * *

ბ-ნმა ლ. თუმანოვმა პარლამენტში ვერაფერი საბუთი მოიყვანა თავის უკბილო და დემაგოგიური შეკითხვის დასასაბუთებლად. როცა დაუმტკიცეს, რომ უსაქმურთა განდევნის განკარგულება არ ეხება მუშებს, არ ეხება დემოკრატიას, არამედ—მხოლოდ საქმის ამრევთ, ე. ი. ისეთ პირთ, რომელნიც მართლა მავნე არიან და წესიერების დაცვას ქალაქში ხელს უშლიან.

ბ-ნი ლ. თუმანოვი „ზნამია ნაროდაში" ულაზათო ფელეტონისებურ წერილს ათავსებს ამ საგანზე და ასეთი ბრძნული სიტყვებით ათავებს:

„სამხედრო მდგომარეობა ხომ უფლებას აძლევს გენერალ გუბერნატორს თავის შეხედულობით გადაასახლოს ვინც სურს საგენერალ გუბერნატოროს საზღვრებიდან? მაშასადამე, მას აქვს იარაღი ერეულობის ჩამდენთ ებრძოლოს. მაშ რაღა საჭიროა ეს ახალი შემოქმედება, რომელსაც „განმარტებები", შემოკლება და შესწორება სჭირდება"?

ცხადია, ყველასათვის გასაგებია, რომ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებით გენერალ-გუბერნატორი აცხადებს—ასეთ და ასეთ პირებს მე აქ ვერ მოვითმენ და შეგიძლიათ თავს ნებით წინასწარ მიბრძანდეთო, ე. ი. აცილებთ დაჭერას, კომისარიატში მიყვანას და სხვ.

ნუ თუ ეს დიდი ბოროტებაა? ნუ თუ ამიტომ არავითარი სავალდებულო დადგენილების გამოცემა არ უნდა შეეძლოს გენერალ-გუბერნატორს?

ცუდათ იცავს ბ-ნი თუმანოვი შეკითხვის ავტორებს, მათ სისუსტეს და უსაბუთობას პარლამენტში ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს. სხვა დასკვნის გამოყვანა მისი ფელეტონური წერილიდან შეუძლებელია.

## საქართველოს პარლამენტი

3 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მილოცვას, საქართველოს პარლამენტისადმი, დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო და მოახსენებს დღის წეს-რიგს, რომელიც უცვლელათ იქნა მიღებული.

**სამანდატო კომისიის მოხსენება.**

**შ. მიქელაძე.** თანახმად იმ კანონისა, რომელიც იყო გამოცემული საქართველოს პარლამენტის მიერ, სომხებმა გამოგზავნეს 10 წარმომადგენელი. სამანდატო კომისიამ 8 წარმომადგენელი დაამტკიცა, თანახმათ კანონისა, ორი წარმომადგენლის საკითხი თარხნოვის და ფირუმიანის სამანდატო კომისიის აზრით უნდა გადაეცეს იურიდიულ კომისიას, რომელიც გაარჩევს მათ ქვეშევრდომობის საკითხს. პარლამენტმა უკამათოდ მიიღო სამანდატო კომისიის წინადადება.

თანახმად მოხსენებისა, თათართა წარმომადგენლების შესახებ ქვეშევრდომობის საკითხის გამორკვევა გადაეცა იურიდიულ კომისიას.

ამიერ კავკასიის ელინთა საბჭომ გამოგზავნა პარლამენტში ახილეს გუნდუროვი. აქ დარღვეულია ფორმალური მხარე კანონისა. წარმომადგენელი გამოგზავნილია ისეთ ეროვნულ საბჭოს მიერ, რომლის მოქმედებაც არ განისაზღვრება მარტო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებით. ამის გამო ელინთა წარმომადგენელი არ დაამტკიცა. სამანდატო კომისიის წინადადება უკამათოდ მიიღო პარლამენტმა.

პარლამენტმა მიიღო საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: ერობათა დახმარების, მთავრობის წევრთა ჯამაგირის გადიდების, თფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის ოთხი მილიონი მან. სესხად მიცემისა და განსაკუთრებულ დელეგაციისათვის საჭირო თანხის გადადებისა.

**შეკითხვა.**

მდივანი კითხულობს თუმანოვის და თარხნოვის შეკითხვას:

1) მოეხსენება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თფილისის გენერალ-გუბ. მაზნიევმა, გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ერთი კვირის განმავლობაში

# 12 დეკემბერი (ძველი სტილით 29 ნოემბერი) — სახალხო გვარდიის დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს

ჩვენი ჯარი ახალციხეში შევიდა 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ახალქალაქში—5 დეკემბერს, დილის ათ საათზე. ჯარების შესვლამდე ქალაქში ძარცვა გლეჯა იყო.

— —

მოკავშირენი ყველაფერში შეთანხმდენ. მოითხოვენ ვილჰელმის და კრონპრინცის მათ განკარგულებაში გადაცემას.

— —

ინგლისის პრესის ცნობით, ბალშევიკების ცდა, რომ ვიბორგის აღმოსავლეთით დესანტი გადაესხათ, უნაყოფოდ ჩატარდა.

— —

დადგენილება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ბანაკად გამოცხადებისა ცხოვრებაში ტარდება.

— —

კიევიდან მიღებული ბალშევიკების ცნობით პეტლიურასა და გერმანიის დეპუტატთა მთავარ საბჭოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებითი ზავის ხელშეკრულობას.

— —

ამერიკის მესამე არმია განაგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინსვლას.

— —

ჩერნოგორიაში მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს. ჩერნოგორია და სერბია შეერთებულათ გამოცხადდა.

---

საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებიდან უნდა გაიგზავნონ ის პირნი, რომელთაც გარკვეული სამსახური არ აქვთ და რომელნიც არ ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ.

2) მოეხსენება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ქვეშევრდომობის კანონის გამოურკვევლობის გამო, რაც მის სხვადასხვა ნაირად ახსნას იწვევს, ეს სავალდებულო დადგენილება გენერალ-გუბერნატორისა ფართო გზას უხსნის ადმინისტრატიულ თვითნებობას, უკანასკნელი გარემოება კი, მთელი თავისი სიმძიმით აწვება მცხოვრებთა მშრომელ ნაწილს.

შეკითხვის ავტორი **თუმანოვი** აღნიშნავს, რომ სავალდებულო დადგენილება ერთი კვირის შემდეგ ძალაში შედის, ეს დრო უკვე გადის და ამის გამო შეკითხვა დღესვე უნდა იქნეს განხილული. თუ სისწრაფე არ იქნა მიღებული, შეკითხვას ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგებიო.

პარლამენტმა შეკითხვა სასწრაფოთ იცნო.

**გერ. მახარაძე.** (შინ. საქმ. მინ. ამხ) აღნიშნავს, რომ სავალდებულო დადგენილების ფორმას მიაქცია სამინისტრომ ყურადღება, მიღებულია ზომები, რომ შესწორდეს ეს დადგენილება, რომ არავითარ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.

**თუმანოვი.** როგორც შევიტყვეთ, მინისტრის ამხანაგის სიტყვიდან, სავალდებულო დადგენილება მოითხოვს შესწორებას და განმარტებას. ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ იგი სავსებით იქნას გაუქმებული. ვინ უნდა გამოარკვიოს ამა თუ იმ პირის უსაქმობა, როგორ უნდა მოვექცეთ ქალებს. მომეტებულ ნაწილს მათში ხომ არ აქვთ გამორკვეული სამსახური. ყოველივე ამან შეიძლება დიდი გაუგებრობა გამოიწვიოს, არ არის აგრეთვე ქვეშევრდომობის კანონი კარგათ შემუშავებული. რომ არ იქნას გამოწვეული არეულობა, და ამა თუ იმ ადმინისტრატორის ფანტაზიას, თვითნებობას არ მიეცეს თავისუფლება, უნდა იქნეს ეს დადგენილება გაუქმებული.

**რ. არსენიძე** მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! მე მეგონა რომ იმის შემდეგ, როცა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ მთავრობა ამ სავალდებულო დადგენილებაში სარედაქციო შესწორებას შეიტანსო, მეგონა რომ წინა ორატორი არსებითად შეეხებოდა ამ დადგენილებას, აღნიშნავდა ამ დადგენილების ასრულების დროს გამოწვეულ ჩადენილ ბოროტ მოქმედებებს. ყველა ამის მაგივრათ მოვისმინეთ თეორიული მსჯელობა, რომ შესაძლებელია ადმინისტრატიულ თვითნებობას ქონდეს ადგილიო. ორატორს რომ აღენიშნა ერთი ორი ფაქტი, რომ გენ. მაზნიაშვილი ბოროტათ ხმარობს თავის უფლებებს, ეს სხვა იქნებოდა, მაგრამ მას არ მოეძებნება ასეთი ფაქტები და გალაშქრება ადმინისტრატორთა წინააღმდეგ მხოლოდ მიტომ, რომ ისინი ადმინისტრატორები არიან, მე მგონია არ შეეფერება პარლამენტის წევრს. რასაკვირველია, ყოველთვის შესაძლებელია პირადი შეხედულებას და თვითნებობას ქონდეს ადგილი სავალდებულო დადგენილების გატარების დროს, ეს ბუნება არის ყოველივე სავალდებულო დადგენილების. მეორე საბუთად სავალდებულო დადგენილების წინააღმდეგ მოყავთ ქვეშევრდომობის კანონი. აქ გამოდის პარლამენტის წევრი და იძახის: თქვენ რომ კანონი გამოეცით, უბრძანეთ მთავრობას არ იმოქმედოს ამ კანონის ძალითო.

ის, რაც პარლამენტმა მიიღო, ყველა ვალდებულია გაატაროს ცხოვრებაში. ვინც მის ასრულებაზე უარს ამბობს, ის არის „საბოტაჟნიკი“. თუ კი ის კანონები, რომელსაც პარლამენტი სცემს არ იქნება შესრულებული,—მაშინ ყოველივე მუშაობაზე ხელი უნდა ავიღოთ. გვიკვირს, რომ სავალდებულო დადგენილების სიმძიმე მთლად დააწვება მშრომელ მასასო. უნდა განვაცხადო, რომ თუ რამე არის დაცული ამ დადგენილებაში,—ეს არის სრული გარანტია მუშებისა... ამ დადგენილებაში სწერია, რომ მუშებს ეძლევათ ორი კვირის ვადა, რომ ჩაეწერნენ თავიანთ პროფესიონალურ კავშირებში. ეს დადგენილება წმინდა დემოკრატიულ პრინციპებზეა აშენებული.

მშრომელი ნაწილი ყოველ მხრივ უზრუნველყოფილია. არ აქვთ პროფესიონალური კავშირები გენერლებს და ოფიცრებს, ყველა მათ, ვინც შრომას კი არ ეწევიან, არამედ—პოლიტიკურ სფეროში ეწევიან მუშაობას. ეხება ეს დადგენილება იმათ, ვინც მუშაობისთვის კი არ ჩამოსულან, არამედ სხვა მიზნების განსახორციელებლათ. მათ არც აქვთ დრო და მოცლა მუშაობისათვის, განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ და წესიერების დაცვა საჭიროა. ისეთმა პირებმა, რომელნიც ამ წესიერების დაცვისათვის სახიფათონი არიან, უნდა დასტოვონ საგენერალ გუბერნატორო.

სავალდებულო დადგენილების თანახმად ის მუშა, რომელიც ჩაეწერება თავის კავშირში, უზრუნველყოფილია. შეკითხვას ერთი მთავარი აზრი აქვს. გააუქმეთ სავალდებულო დადგენილება და ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც არევ დარევას იწვევენ, მიეცით თავისუფლება მოქმედებისაო. თუ ჩვენ ვცნობთ, რომ განსაკუთრებულ დღეებში ვცხოვრობთ, უნდა გვყავდეს გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც უნდა მიიღოს ყოველივე ზომები წესიერების დაცვისათვის, ეს არავის ინტერესებს არ ლახავს, არავითარ შეურაცხყოფას არ აქვს ადგილი. ეს იდეა უნდა მიღებულ იქნეს და ტექსტს სავალდებულო დადგენილებისას მიეცეს მკაფიო სახე.

**გ. გვაზავა** (ნ.-დ.) აღნიშნავს, რომ შემკითხველებს არა მარტო ჩვენი სავალდებულო დადგენილებანი არ მოსწონთ, მათ არ მოსწონთ აგრეთვე ჩვენი საკანონმდებლო ორგანო—პარლამენტი, არ მოსწონთ აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობა. განსაკუთრებული საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს, რომ მიღებული იქნას ყოველივე ზომები სახელმწიფოს წესიერებისათვის და არავითარ ზომას არ უნდა მოვერიდოთ რესპუბლიკის მტრების ასალაგმავათ.

**ვეშაპელი** აღნიშნავს, რომ გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით არის გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯი წესიერების აღდგენისთვის. დიდი იმპერიის დარღვევის შემდეგ თფილისში დარჩენ ისეთი ელემენტები, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიდიან. მათ ჰგონიათ, რომ ინგლისელები მოდიან მხოლოდ იმისთვის, რომ უსაქმოთ დარჩენილ ოფიცერთა უფლებები აღადგინონ. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები და არ უნდა მივცეთ საშუალება მათ, ვინც გენერალ-გუბერნატორს ეძახება, თვითონ დაგვიწყონ გენერალ-გუბერნატორობა.

**თარხანოვის** აზრით თფილისში ისეთი მდგომარეობა არ არის, რომ საჭირო იყოს სავალდებულო დადგენილება, რომელიც მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

**აკ. ფალავა.** შემკითხველებმა ვერ დაამტკიცეს, რომ არ არის საჭირო გენერალ გუბერნატორი. მათ მხოლოდ ისა სთქვეს, რომ ადმინისტრატორები ბოროტათ გამოიყენებენ თავიანთ უფლებებსო. შემკითხველებმა დაასწრეს ფაქტებს, ჯერ ჯერობით არ გვინახავს ასეთი ბოროტათ გამოყენება უფლებების. არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც არევ-დარევას იწვევენ, ჩვენ არ უნდა ვუცადოთ იმ დრომ', ვიდრე ისინი აჯანყებას მოაწყობდნენ. ჩვენ წინათვე უნდა მივიღოთ ზომები რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ, ასეთ პირებს თავის დროზე უნდა ვებრძოლოთ.

**ნ. რამიშვილი.** მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! აქ ლაპარაკობენ თვითნებობაზე, მაგრამ ის ზომები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ლაპარაკი, მიმართულია სწორეთ იმ პირთა თვითნებობის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ჩვენ რესპუბლიკას ძირი გამოუთხაროს. ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ გენერალ-გუბერნატორის დადგენილებაში არის ისეთი ადგილები, რომლებიც იწვევენ გაუგებრობასო. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ამ განსაკუთრებულ პირობებში ძნელია ყოველივე ბრძანების ნათელ იურიდიულ ფორმებში ჩამოსხმა. ერთი უნდა ითქვას ამ დადგენილების შესახებ, რომ ის არ არის სრული და საჭიროა შესწორება, ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები და ეს დადგენილება იქნება შევსებული და შესწორებული. ეს დადგენილება ეხება უცხო მოქალაქეთ, უნდა მიმართული იყოს აგრეთვე იმ ჩვენ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომელნიც სახიფათო იქნებიან წესრიგის დამყარებისათვის (ტაში). ვინც დაუკვირდება სავალდებულო დადგენილების ტექსტს, ის ნათლად დაინახავს, რომ ერთი ნაბიჯიც არ არის გადადგმული მშრომელთა მასის წინააღმდეგ. იქ, სადაც ნათქვამია რეგისტრაცია მუშებისა მთელი ეს შესწორება მისაღებია შრომის სამინისტროს მიერ. აქ არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს მუშათა დემოკრატიულ ინტერესებს, არიან ისინი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, თუ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი. მთავრობა არ გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც მუშათა წინააღმდეგ იქნება მიმართული. მე ვამბობ, რომ ეს ბრძანება არ არის სრული და პირველი ნაბიჯი გადაიდგმება ჩვენი რესპუბლიკის იმ ქვეშევრდომთა წინააღმდეგაც, ვინც ყაჩაღობს, ქურდობს და სხვადასხვა ბოროტმოქმედებას ხელს უწყობს. ამ მხრივ ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია შესწორდეს ეს დადგენილება და თუ აქ გაუგებრობაზე იყო ლაპარაკი, მაშინ ყველა ეს მოისპობა.

აქ გვეუბნებიან, რომ ეს ზომები მიმართულია უცხოელების წინააღმდეგო. უნდა განვაცხადოთ, რომ ის უცხოელნი, რომელნიც მოდიან ჩვენში სავაჭროთ ურთიერთობის შესაქმნელად, ჩვენ არამც თუ არ ვიღებთ ზომებს მათ წინააღმდეგ, არამედ—ვცდილობთ და ვიღებთ ზომებს, რომ ხელი შევუწყოთ ასეთ ურთიერთობის დამყარებას. აქ ლაპარაკია არა იმ პირებზე, რომელიც ჩვენთან საქმისთვის მოდიან, არამედ—ვინც უსაქმოთ დაიარებიან. ყველასთვის ცხადია, რომ აღებ-მიცემობა ეს ერთ პროფესიათ ითვლება. აქ ლაპარაკობენ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ, სამხედრო წესების, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენც წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ განსაკუთრებული პირობები მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს, როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ თელავის მაზრაში სამხედრო წესები, დავავალეთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში ცდილიყვნენ აღედგინათ იქ წესიერება და, როდესაც იქ სრული წესიერება დამყარდება, ჩვენ მაშინ მოვხსნით იქ სამხედრო წესებს: სანამდის არსებობს საბუთი და საჭიროება მოითხოვს აქ ქალაქში იქნება სამხედრო წესები, როდესაც კი ამის საბუთი მოისპობა, მოიხსნება სამხედრო წესებიც. რაც აქ გამოცხადდა სამხედრო წესები, შემცირდა ბოროტმოქმედება, ერთი ნაწილი ხალხისა ცუდათ გრძნობს თავს, ეს ისინი, ვისაც წაერთვა იარაღი და მოესპოთ საშუალება ბოროტ მოქმედების ჩადენისა. აქ ლაპარაკობენ, რომ სავალდებულო დადგენილება მცხოვრებთა წინააღმდეგ არის მიმართულიო. ასეთი განცხადება მოკლებულია ყოველივე საბუთს. ეს დადგენილება მიმართულია არა მუშების, ვაჭრების და მოწაფეების წინააღმდეგ, არამედ—იმ უცხოელ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომელთაც თუ არ აქვთ ადგილი, არამედ—არც იმედი აქვთ იშოვნონ. (ტაში) და თუ აქ რჩებიან, მხოლოდ მიტომ, თუ რაიმე არეულობა იქნება, მიიღონ მასში მონაწილეობა. სავალდებულო დადგენილება იქნება შესწორებული ისე, რომ იგი იქნება მიმართული არა მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ, არამედ—იმათ წინააღმდეგ არის ეს დადგენილება, რომელთაც არ ექნებათ არავითარი სამუშაო და არც ექნებათ გარდა ერთისა—რესპუბლიკის დამხობა (ტაში).

**ნუცუბიძე** (ს. რ.) აღნიშნავს, რომ ეს შეკითხვა შემოტანილია არა პარლამენტის ს. რევოლიციონერების მიერ, არამედ იმ სომეხთა დეპუტატების მიერ, რომელნიც თავს იყრიან, გაზეთ „ზნამია ნაროდა“-ს გარშემო. ეს ჯგუფი ცნობილია ორმაგი პოლიტიკით და ორ სკამზე ჯდომით. ორატორი საჭიროთ სცნობს კონსტიტუციონურ გარანტიების დაცვისათვის, ყოველივე სავალდებულო დადგენილება უნდა იქნეს ჩამოსხმული ნათელ და გამორკვეულ ფორმებშიო. კამათი შესწყდა. პარლამენტმა მიიღო შემდეგი წინადადება, სოციალდემოკრატების ფრაქციის მიერ წარდგენილი. მოისმინა რა პარლამენტმა შეკითხვა თფილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების და მთავრობის განმარტება ამ შეკითხვის შესახებ, პარლამენტი კმაყოფილდება მთავრობის განმარტებით და გადადის მორიგ საკითხებზე. წინადადება შემოტანილი შეკითხვის ავტორების მიერ პარლამენტმა უარჰყო.

### 6 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე.**

მდივანი **ი. აბაკელია** კითხულობს დღის წესრიგს.

**რ. არსენიძე** (სარედაქციო კომ. წევრი) კითხულობს საბოლოო ტექსტს სახელმწიფო კონტროლის 1) დებულებისა, 2) სარევიზიო წესდებისა და 3) შტატისა. პარლამენტმა სარედაქციო კომისიის ყველა შესწორებანი მიიღო: კანონ-პროექტი ძვირფას კულტურის მამულებში, პროდუქტების რეკვიზიციისა მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან. სხდომა ამით დაიხურა.

## ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი

გაზ. „ზნამია ნაროდა“-ს 3 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო სომხურ გაზეთ „ნორ-ჰორიზონი“-დან ამოღებული წერილი, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები შინაგან საქმეთა მინისტრთან“. შინაგან საქმეთა მინისტრის ნალაპარაკევი და სხვადასხვა გაზეთის რედაქტორების მიერ იქ გ მოთქმული აზრები ამის შესახებ ტენდენციურად და ყალბად იყო გადმოცემული სხვადასხვა გაზეთებში. ამის გამო გუშინდელ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია „უარყოფა“ შინაგან საქმეთა მინისტრის მდივნის მიერ ხელმოწერილი. მოგვყავს ის ადგილი წერილიდან, რომელიც შეიცავს (შემოკლებით) შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის მიმართვას პრესის წარმომადგენლებისადმი: „მე მომხრე ვარ მთავრობის პოლიტიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო, ყველაზედ ფართოე კრიტიკისა, რადგანაც, რაც უფრო თავისუფალი იქნება პრესა და რაც უფრო მეტი გაზეთი გამოვა, მით უკეთესია მთავრობისთვის და მით უფრო ადვილი იქნება მისთვის დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. თქვენ შეგიძლიათ არ იცნოთ ჩვენი დამოუკიდებლობა. ჩვენც არ ვცნობდით ძველ წესებს, ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ, მაგრამ არც მე, როგორც ჟურნ. და გაზ. ხელმძღვანელი, არც ჩვენი პარტია, არასოდეს არ ვეგუებოდით ძველ რეჟიმს. არ გირჩევთ თქვენ ამასვე, მაგრამ განსაზღვრული და გადაუხვეველია მთავრობის გადაწყვეტილება, რომ იმ ორგანოებს, რომლებიც არ სცნობენ საქართველოს რესპუბლიკას, არ შეუძლიანთ გამოვიდნენ ჩვენ ტერიტორიაზე, რადგანაც არც ერთი სახელმწიფო არ დაუშვებს აშკარა აგიტაციას თავის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძვლების წინააღმდეგ. ჩემი მიზანია გავაფრთხილო ამის შესახებ, როგორც რედაქტორები, ისე გამომცემლები, რომ მომავალში რაიმე გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს“.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ადერბეიჯანის ორიენტაცია.

გაზეთი „ადერბეიჯანი“ ეხება ბაქოში მთავრობის შექმნის საკითხს და ამბობს: „ერთნი კოალიციონური მთავრობის შექმნას საფუძვლად უდებენ იმას, რომ ადერბეიჯანის პარლამენტმა იცნოს უფის მთავრობა, თუნდაც იდეაში; მეორენი აყენებენ რუსეთის დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, რომლის განხორციელება ახლო მომავალში მეტად პრობლემატიურია. ერთ მთავარ პირობათ კოალიციონური მთავრობის შექმნის დროს განსაზღვრული მიმდინარეობა აყენებს ადერბეიჯანის ორიენტაციას. ასეთ არეულ დროში, როცა მომავალი ჯერ გამოურკვეველია—ჩვენ გვეძახიან რუსეთის ორიენტაციისაკენ. მაგრამ საკითხავია, არის თუ არა რუსეთში ჭეშმარიტი დემოკრატია, რომელიც შესძლებდეს ფედერაციის დიდი იდეის განხორციელებას? ჩვენ ვიცით, რომ კიევის თავბირმა ერთად-ერთ ფორმად რუსეთის მართვა-გამგეობისა აღიარა მონარქიზმი; ეკატერინოდარში კადეტ მონარქისტების ჯგუფი ერთიან რუსეთის აღსადგენად აწყობს მოხალისეთა არმიას, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ემუქრება ყველა ხალხებს, რომლებიც კი თვით გამოერკვნენ, იქ კი უფასა და ომსკში უფის მთავრობა აც ხადებს ერთიან რუსეთის დაცვას მიმხ დველ საფუძვლებზე. ჩვენ არ ვუცით, რომელი ამ ძალთაგანი გაიმარჯვებს და ამ ქაოტიურ რუსეთზე ორიენტაციის დაჭერას გვირჩევენ დღეს ჩვენ. ჩვენ დღეს ამას უარვყოფთ და მოვუწოდებთ ადერბეიჯანის რუსის და სომხის დემოკრატიას—და კერძოდ ბაქოს დემოკრატიას პოლიტიკური კონიუნქტურის საბოლოო გამორკვევამდე გადასდონ დღეს განუხორციელებელი ეს იდეები და სოლიდარულად იმუშაონ ადერბეიჯანის მასშტაბში“.

## მილოცვები საქართველოს მთავრობას

**სიღნაღი.** 5 დეკემბერი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარეს: სიღნაღის ქალაქის ხმოსანთა კრება ესალმება საქართველოს პარლამენტს და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, ნახევარი წლის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობისთვის, დამოუკიდებელ დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებისთვის. გისურვებთ შემდეგში ნაყოფიერ მუშაობას.

**თფილისი.** 5 დეკემბერი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარეს.

თფილისის მაზრის ხმოსანთა პირველი ყრილობა ესალმება საქართველოს დემოკრატიულ და რევოლიუციონერ მთავრობას და უცხადებს მას, რომ თფილისის სამაზრო ერობა მზათ არის მთელი თავისი ძალ-ღონით ემსახუროს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებაში დემოკრატიის საბოლოო მიზნის მისაღწევათ.

**სოჩი.** 3 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარემ სოჩიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: სოჩის ოლქის გლეხთა ყრილობა სალამს უძღვნის მთავრობას და მის ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც სავსებით შეეფერება დემოკრატიულ იდეებს. მთავრობის სახით სალამს ვუძღვნით საქართველოს დემოკრატიას.

ყრილობის თავმჯდომარე ჯანაშია, თავმჯდომარეს ამხანაგები: ვახილევი, ზ. პივოვაროვი; მდივანი—მ. ნემჩუკი და კოროლევი.

## ინგლისელთა დელეგაცია ფოთში

30 ნოემბერს, დილის 10 საათზე ჩამოვიდა სოხუმიდან ინგლისელთა დელეგაცია, რომელსაც ჩამოჰყვა გენ. ვაზაკიძე. დელეგაციას შეეგება ქალაქის თავის მოადგილე ალ. კორძაია, გარნიზონის უფროსი პოლკ. ჩხეიძე და სხვ. მისასალმებელ სიტყვაში ალ. კორძაიამ მოკლეთ გააცნო დელეგაციას საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მოიხსენია ბათუმის დღეები. „საქართველოს მცხოვრებნი ფიზიკურ განადგურების წინ იდგა, გარშემორტყმული მტრებითა და ანარქიით, ის იძულებული შეიქნა მოეწვია გერმანია, რომელმაც მართლა გაამართლა იმედები და იხსნა იგი ფიზიკურ განადგურებისაგან“,—სთქვა სხვათა შორის კორძაიამ, რომლის სიტყვა ფრანგულათ გადათარგმნა მ. საბახტარიშვილმა.

დელეგაციის თავმჯდომარე თავის საპასუხო სიტყვაში მიესალმა საქართველოს და მის ხალხს და განაცხადა, რომ მათი მოსვლის მიზანია ხელი შეუწყონ პატარა ერებს ანარქიისაგან თავის დაღწევაში და წეს-რიგის დამყარებაში; მან მოითხოვა გერმანელებისთვის იარაღის აყრა. ქალაქის წარმომადგენლებმა განუცხადეს დელეგაციას, რომ საქართველო არ საჭიროებს ვისიმე დახმარებას წეს-რიგის დაცვაში: მთავრობას ჰყავს საკმაო რიგულიარული ჯარი და სამოქალაქო წესი საქართველოში სუფევს; რაც შეეხება გერმანელებისთვის იარაღის აყრას, ამის შესახებ ჩვენ შევეკითხებით ჩვენს მთავრობას და დაუცდით მისგან შესაფერ ბრძანების მიღებასო. ამაზე ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე დაეთანხმა და განაცხადა, რომ მას საქართველო არ ჰყავდა მხედველობაში, როცა სთქვა რომ მათი მიზანია წეს რიგის დამყარება კავკასიის პატარა ერების ქვეყნებში.

იმავე საღამოს ქალაქმა გაუმართა დელეგაციას ვახშამი. კერძო ბაასში, ერთმა ინგლისელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა ოსმალეთის შემოსევის დროს, რომ არამც თუ გერმანელები,—რომ საჭირო გამხდარიყო,—თვით სატანაც უნდა მოეწვიაო. კერძო ბაასში დელეგატები ამბობდენ:

ჩვენ, რომლებმაც ფეხი შევსდგით საქართველოს ტერიტორიაზე, ვეცდებით შესაფერი საზოგადოებრივი აზრი შევქმნათ ინგლისში და მოკავშირეთა სახელმწიფოებში საქართველოს სასარგებლოთაო, და იმედს გამოსთქვამდენ, რომ საქართველო მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღებს თავის დამოუკიდებლობის სანქციასო.

მეორე დღეს დელეგაცია გაემგზავრა ბათუმში.

ვ. ჩოჩია.

# ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში

სამხედრო მინისტრის სახელზე, ახალციხესა და ახალქალაქის მაზრების გენ. გუბერნატორისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„4 დეკემბერს, 14 საათზე, (ნაშუადღევის 2 საათზე) საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ახალციხეში. მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ენტუზიაზმით შეეგებნენ ჯარს. ულოცავდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს. ყველა სახელმწიფოს სადგომი და სახლები დაზიანებული დაგაფუჭებულია. ჯარი დროებით კერძო სახლებში დგას. დაინიშნა კომისია ზარალის გამოსარკვევათ. მრავალი სამხედრო მასალა და ყუმბარა გადაყრილია მდინარეში ხვალიდან შევუდგებით მათ ამოღებას. ყველა ერის წარმომადგენელნი ერთგულების ფიცს სდებენ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.“

5 დეკემბერს, დილის 10 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ახალქალაქი. მცხოვრებნი პურ მარილით შეგვხვდნენ. ყველგან ცარცვაგლეჯა იყო. ამის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. გავგზავნეთ რაზმები. მცხოვრებლებს განუცხადეთ, რომ თავის ადგილებზე დაბრუნდნენ. ოსმალებს დაუწვავთ ოფიცერთა ერთი სადგომი, სადაც ხორბალი იყო. ჯარის სულიერი განწყობილება საუკეთესოა.

გენერალი მაყაშვილი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

6 დეკემბერი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 5 დეკემბერი. სრულიად რუსეთის ც. ა. კ. დადგენილება მუშათა და გლეხთა თავდაცვის მოსაწყობათ. საბჭოთა რესპუბლიკას საფრთხე მოელის საქვეყნო იმპერიალიზმის შეერთებულ ძალთაგან.. (დამახინჯებულია).. ს. რ. ც. ა. კ. აზოწმებს, რომ აუცილებელია გასკეცდეს მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ენერგია მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ს. რ. ც. ა. კომიტეტის 1918 წ. 2 სექტემბრის დეკრეტის ძალით საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკათ გამოცხადდა. ეს დადგენილება ლდეს უნდა გატარდეს ცხოვრებაში. აუცილებელია ჯარის ყოველმხრივ უზრუნველყოფა. ამისთვის კი საჭიროა მუშაობის გაძლიერება. აუცილებელია ჯარის, ფლოტის, მოსკოვის, პეტროგრადის და სხვა ცენტრების უზრუნველყოფა სურსათით. ამიტომ საჭიროა ვაიძულოთ ყველა სასურსათო და რკინის გზის ორგანო ცენტრში და ადგილობრივ იმუშავონ მეტი ენერგიით და სინიდისიერათ. **კურსკი**, 4 დეკემბერი. გერმანიის ჯარის უფროსებს ადესაში ეშინიათ, რომ გერმანიის ჯარში ბოლშევიზმი არ გავრცელდეს და ყოველ ღონეს ხმარობენ ჯარის სამშობლოში დაბრუნების დასაჩქარებლათ. **კიევი**. 1 დეკ. პეტლიურას და გერმანიის დეპუტატ. მთავარ საბ. წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებითი ზავის ხელშეკრულებას. **მოსკოვი**, 4 დეკემბ. „ფორვერტსმა“ პროტესტი განაცხადა გერმანიის საბჭოთა ყრილობაზე რუსეთის წარმომადგენლების ჩამოსვლის გამო. გაზეთის აზრით მოკავშირეებს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს ებრძოლონ ბოლშევიკურ რუსეთს და გერმანიის ბოლშევიკებთან ზავი შეკრან. „ფორვერტსი“ სწერდა, რომ რუსეთს სურს ჩამოაგდოს მშვიდობიანი დამოკიდებულება, რომელიც მოკავშირეთა და გერმანიის შორის მყარდება. „ფორვერტსის“ განცხადების მიუხედავათ ბერლინის საბჭო სალამს უძღვნის საბჭ. რუსეთის დელეგაციას. 4 დეკემბ. კუნგურის და კრასნოუფის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოსნოვსკოე დაიჭირა. ლისვენის მიმართულებით კუსეს რაიონში ჩვენმა ჯარმა ალექსანდროვის ქარხანაც დაიჭირა. კუშინსკის მიმართულებით, აზიატის და ურალის სადგურის რაიონებში ბრძოლაა. **ბორისოვი**. 3 დეკ. მინსკის პროფესიონალურ კავშირის საბჭომ დაადგინა, ყველა საწარმოვო დაწესებულებაში დაუყონებლივ აირჩიონ კომიტეტი. **ეკატერინოსლავი**. 2 დეკემბერი. ბურჟუაზიული გაზეთი მოითხოვს მოკავშირეთა დახმარებას, რადგან უკრაინა უცხოელთა დაუხმარებლათ ბოლშევიკების ხელში ჩავარდება. **კურსკი**. 3 დეკ. იუზოვკიდან მიიღეს მაკეევის კომენდანტის ბრძანება, სადაც ის განკარგულებას იძლევა დახვრიტონ და დააპატიმრონ მუშები. დაჭერილი მუშები ჩამოახრჩონ მთავარ ქუჩაში და სამი დღის განმავლობაში არ ჩამოხსნან მათი გვამი. **ვორონეჟი**. 4 დეკ. სათბობ მასალის სიმცირის გამო მიმოსვლა შეჩერდა. მრავალი მუშა უსაქმოდ დარჩა. სადგურებზე დიდძალი გასაკეთებელი და გასასწორებელი ორთქმავალი და ვაგონი სდგას.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

მოკავშირენი ყველაფერში შეთანხმდნენ. მოკავშირეთა კონფერენციაზე ერთხმად დაადგინეს მოითხოვონ ექს-კაიზერის და კრონპრინცის გადმოცემა, რადგან მათ ომის დროს საერთაშორისო უფლება დაარღვიეს.

პრეზიდენტი საფრანგეთში ჩამოვა 12 დეკემბერს.

ბოლშევიკებმა სცადეს ფინლენდის ალმოსავლეთით დესანტის გადმოსხმა, მაგრამ იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. ბოლშევიკთა გემები კანტროლს უწევს ფინის ყურეს. ჰელსინგფორსსა და რეველს შუა მიმოსვლა შესწყდა.

როცა ერცბერგმა გახსნა იმ კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს სამხედრო ტყვეებისადმი სასტიკი მოპყრობის საბუთები, განაცხადა, რომ დაუნდობლათ დაისჯება ყველა ის, ვისაც დაუმტკიცდება, რომ სამხედრო ტყვეებს სასტიკათ ეპყრობოდა.

რუმინიის მეფის ოჯახი ბუქარესტში დაბრუნდა.

გერმანული გაზეთი „ლოკალ ანცაიგერი“ იუწყება, რომ ლაიპციგის საბჭომ დაადგინა: დაითხოვონ მთავარი შტაბი და დააპატიმრონ ჰინდენბურგი.

ლონდონიდან კლემანსოსთან ერთად იტალიაში დაბრუნდა იტალიის პრემიერი ორლანდო და საგარეო საქმეთა მინისტრი სონინო.

ამსტერდამიდან იუწყებიან: კურტ ეისნერმა ჰააზეს და ებერტს დეპეშით შეატყობინა, რომ ბავარიის კაბინეტი ერთხმათ მოითხოვს, რომ გერმანიის ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლები შეიკრიბონ... (დამახინჯებულია).. ან სხვა რომელიმე ადგილას, ფარულ შინაურ პოლიტიკის, ერთვნულ ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხის და საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების შესახებ დადგენილებათა გამოსატანათ.

ამერიკის მესამე არმია განაგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინ-სვლას. ამ ჟამად მან მიაღწია გლადდტ ვალენბორნ-დაუნ-ნავერსკურენ-რინგერლკოფის საერთო ხაზს.

კლემანსო და ფოში ლონდონიდან პარიზში დაბრუნდნენ. ზავის პირობების შესახებ სრული შეთანხმება მოხდა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის შორის.

ბრიტანიის ესკადრა კილში და ვილჰელმსჰაფენში გაემგზავრა.

ფოშმა განკარგულება გასცა ელზას-ლოთარინგიის საზღვარის დაკეტვის შესახებ.

გერმანიამ გოგენცოლერნებს გერმანიიდან წასვლის ნება მისცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქონება არ წაიღონ.

ჩერნოგორიელებმა მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს და ჩერნოგორია და სერბია შეერთებულათ გამოაცხადეს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გამოირკვა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობის ყოფილი წარმომადგენლობა ბერლინში, არამც თუ ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა საზღვარ გარეთ და პროკლამაციებსავრცელებდა, არამედ—იარაღსაც კრებდა. იმ მატარებელში, რომლითაც იოფე საზღვრამდე მიდიდა, რუსეთის მისიის წევრმა დასტოვა პაკეტი ქაღალდებით, რომელშიაც აღმოჩნდა შეძენილ იარაღის და სხვა სამხედრო მასალის 21 ანგარიში. ანგარიშებში დაწერილია 1917 წლის 21 დეკემბრიდან 1918 წლის 31 ოქტომბრამდე და მათში მოხსენებულია 159 მაუზერი, 28 ბრაუნინგი და 23 პარაბელუმი, 27000-მდე ტყვია, სულ 150,000 მარკის ღირებულებისა. გამართლდა რადეკის მტკიცება, რომ საზავო ხელშეკრულების მეორე მხარე რუსეთის მთავრობას არ უკრძალავს რევოლიუციონურ პროპაგანდის გაწევას გერმანიაში.

რეინის მარცხენა ნაპირზე მდებარე გერმანიის ტერიტორიის ოკუპაცია ხდება არა დაპყრობის უფლების საფუძველზე, არამედ დადებულ ხელშეკრულების ძალით. გერმანიის ტერიტორიაზე კოლონიალურ ჯარების შემოყვანა შეურაცხყოფს თეთრ რასას. პროტესტი იხსენებს აგრეთვე მარშალ ფოშის განცხადებას, რომ ელზას-ლოთარინგიის საზღვრები ბადენის პფალცის საგრაფოსა და ლიუქსემბურგის მხარეზე უნდა დაიხუროს, ვიდრე არ გამოვა განკარგულება, რომლის ძალითაც საარბრიუკენის და საარლუისის ოლქები ლოთარინგიის საზღვრებში იქნება შეტანილი. გერმ. მთავრობა პროტესტს აცხადებს და ამბობს, რომ საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ ასეთი ზომები ანადგურებს მრეწველობას და ნამდვილ აბრკოლებს მეზობელ ოლქებთან მიმოსვლას. დროებითი ზავის პირობებზე ხელის მოწერამდე გერმანიის დელეგატებს განუცხადეს, რომ შეთანხმების ყველა წვრილმანი უნდა შესრულდეს. და რომ ამ აქტის მუხლები უფრო ფართოთ არ უნდა განიმარტოს. 5 მუხლი კატეგორიულათ ამბობს, რომ არავითარი ცვლილება არ უნდა იქნეს შეტანილი არსებულ ადმინისტრატიულ ორგანიზაციებში. დროებითი ზავის პირობებში არ არის ნათქვამი არც ერთი სიტყვა, რომელიც უფლებას აძლევს საფრანგეთის სარდლობას გერმანიის დაჭერილ ოლქების იზოლიაცია მოახდინოს ან და შეცვალოს მათი საზღვრები, როგორც ეს საარბრიუკენის და საარლუისის ელზას-ლოთარინგთან შეერთების დროს მოხდა. ასეთ შემთხვევაში გერმანიის მთავრობა იძულებულია მარშალ ფოშის მოქმედებაზე პროტესტი განაცხადოს.

როზიტიდან ინგლისის სამხედრო სარდლობისაგან გერმანიის ფლოტის სარდლობამ შემდეგი რადიო დეპეშა მიიღო: „მოკავშირეთა საზღვაო ფლოტის კომისიას დავალებული არა აქვს მოლაპარაკება აწარმოვოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებთან და ან მათ წარმომადგენლებთან“.

პფალცის საგრაფოში საფრანგეთის ჯარს დროებითი ზავის პირობებში აღნიშნულ ვადამდე შესვლის გამო, გერმანიის მთავრობამ შვეიცარიის მთავრობის საშუალებით პროტესტი განუცხადა შეთანხმების სახელმწიფოებს. პროტესტის დასაწყისში აღნიშნავს იმ მდგომარეობას, რომ შეკითხვაზე, დროებითი ზავის პირობები გულისხმობდა თუ არა გერმანიის ტერიტორიის დაპყრობას კოლონიალურ ჯარების მიერ, პასუხი არ გაუციათ. შემდეგ პროტესტში ნათქვამია: „პფალცის საგრაფოში რამდენიმე დღის ყოფნის დროს საფრანგეთის შავკანიანთა ჯარმა ძალადობა ჩაიდინა და ექსცესები მოახდინა. გერმანიის მთავრობამ უსასტიკესი პროტესტი უნდა განაცხადოს იმის გამო, რომ შეთანხმების სახელმწიფოების მიერ დაპყრობილ ოლქებში გერმანიის ხალხი კოლონიალურ ჯარებისგან შემდგარ გარნიზონს უნდა დაუმორჩილდეს. მას უფლება აქვს მოსთხოვოს, რომ დროებითი ზავის პირობებმა სამართლიანი ზავი მოგვცეს და ხალხთა ლიგის იდეა დამცირებული არ იქნეს.

# ახალი ამბები

**ქართული ლატარია.** 8 დეკემბერი მთელ საქართველოში დანიშნულია ქართულ ლატარიის დღეთ. ქართულ ლატარეას მიზნათ აქვს დახმარება აღმოუჩინოს ქართულ უნივერსიტეტსა და თეატრს. მოვუწოდებთ საზოგადოებას, რათა ბილეთების ყიდვით ყველამ შეიტანოს თავისი წვლილი უნივერსიტეტისა და თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

— **ნავთი.** მთავრობამ ნება დართო ნავთის ბაქოდან ბათუმში საქართველოს ტერიტორიის ნავთსადენით გადატანისა იმ პირობით, თუ ბაქო მისცემს საქართველოს საჭირო ნავთს.

— **სახალხო გვარდიის დღე.** სასოფლო კომისია წინადადებას აძლევს ყველა პროპაგანდისტებს, რომელნიც მუშაობენ მაზრებში, რაიონებში და სოფლებში, მიიღონ აქტიური მონაწილეობა 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღის მოწყობაში.

— **სახალხო გვარდიის დღეს**, ამა წლის 12 დეკემბერს პარლამენტის შენობის წინ ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი სახალხო კონცერტი თფილისის შეერთებული სამხედრო ორკესტრებისა.

— **გარეშე საქმეთა სამინისტრომ** გაუგზავნა ასასრულებლად იუსტიციის სამინისტროს ჯამალიანის შუამდგომლობა, რომ სომხეთის მისიის წარმომადგენელს გადაეცეს ერევნის ყოფილი სოკოლნის ოლქის ყველა საქმეები, გეგმები და „ინსტრუმენტები“.

— **მუშათა დეპუტატების საბჭო.** ოთხშაბათს, 11 დეკემბერს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: სახალხო გვარდიის დღე. მომხსენებლათ გამოდიან: ნ. ელიავანი, ე. გეგეჭკორი და ვ. ჯუღელი.

— **სომეხთა ლტოლვილების კომიტეტის** განყოფილება სთხოვს არარატის რესპუბლიკის მთავრობას დახმარება აღმოუჩინოს 80,000 ლტოლვილთ ჩრდილოეთ კავკასიიდან დასაბრუნებლად.

— **შრომის ბირჟა.** დღეს, დილის 11 საათზე, შრომის ბირჟაზე (მადათოვის ქუჩა № 11) დანიშნულია კრება ბირჟის მუშათა სექციის პარტიულ კომიტეტის, აგრეთვე პროფესიონალური კავშირების თავმჯდომარეებისა და მდივნების. გარჩეული იქნება შემდეგი კითხვები: 1) შრომის ბირჟის მიზანი და მისი განსახორციელებელი საშუალებები. 2) პროფ. კავშირების დამოკიდებულება შრომის ბირჟასთან. 3) შრომის ბირჟის მოქმედება მის დაარსების დღიდან. 4) ორგანიზაცია მუშების სტატისტიკის. 5) გამოცემა ბირჟის წლიური ანგარიშისა. ვინაიდან საკითხები მეტათ მწვავე და სერიოზულია, ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

— **ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის.** ფოსტა-ტელეგრაფის ერთი მოსამსახურეთაგანის წერილი მოგვივიდა; წერილში აწერილია, თუ როგორ ცივ ოთახებში უხდებოდათ მუშაობა მოსამსახურეებს, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე დეკემბერი დადგა და სიცივეები დაიჭირა. ასეთ პირობაში სამსახურის შესრულება აუტანელი ხდება. საჭიროა ყურადღება მიექცეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ასეთ მდგომარეობას.

**კრებანი.**

— რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების კრება შესდგება კვირას, 8 დეკემბერს, სად. 7 ს. „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

— დღეს, საღ. 6 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა (მეორე სართული) დანიშნულია მეოთხე რაიონულ კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა. მეტად სასწრაფო კითხვის გამო ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

**მიმავალი ჯარების გზა.**

ქ. ნიკოლაევიდან მოვიდა დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ ფოთიდან გასული გემი „ასგარტი“ გერმანული ჯარებით იქ მშვიდობიანად მისულა. გზა უკრაინასა და პოლონეთზე გერმანიისაკენ უზრუნველყოფილია, ყველა რკინის გზის შტოებზე გერმანული რაზმების მცველები გაძლიერებულია. ამისდა მიუხედავად ბერლინსა და შეთანხმების სახელმწიფოებს შუა მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, რომ უკანასკნელი გემი, ყოველ შემთხვევაში, თუ უკრაინაზე გზა შეიკრა, ხმელთა შუა ზღვით წავიდეს.

**გერმანიის რადიო სადგურები.**

მოვიდა დეპეშა ებერტ ჰააზეს ხელმოწერით, სადაც სწერია, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს გერმანიის რადიო სადგურები „სპარტაკის“ ჯგუფს ჩაეგდოს ხელში—სამართლეს არ შეეცავს. ყველა რადიო სადგურები მთავრობის ხელშია და იქ მუშაობენ იგივე მოხელენი და მოსამსახურენი, რომლებიც რევოლიუციამდე მუშაობდნენ. ასე რომ, ყოველგვარი ცნობები გერმანულ რადიო-სადგურებიდან მთავრობის ნებართვით მოდის და ოფიციალური ხასიათი აქვთ.

**მთლიანი გერმანია.**

ბავარიის პრემიერ მინისტრმა ეისნერმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც დამაკმაყოფილებლადაა განმარტებული, რომ ის მხარს უჭერს მთლიან გერმანიას.

**ბ ა ქ ო შ ი.**

გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს სპარსეთში, ინდოეთში და სხვაგან აჯანყებები დაწყებულიყვეს ინგლისის წინააღმდეგ და ამის გამო ინგლისელები ბაქოდან გასულიყვნენ, ყალბია.

**ვილსონი საფრანგეთში.**

პრეზიდენტი ვილსონი უკვე მოვიდა საფრანგეთში, ნავთსადგურ ბრესტში. გამოურკვეველია დაესწრობა იგი ლონდონის წინასწარ კონფერენციას, თუ არა.

# სახალხო გვარდიელთა შორის

29 ნოემბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში, ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ამხ. ვალიკო ჯუღელი. კრება გახსნა ძველი შტაბის თავმჯდომარემ ამხ. ვენტიხი ლორიამ, რომელმაც მოკლე მოხსენება გააკეთა—და გააცნო დამსწრე ამხანაგ გვარდიელებს კრების მოწვევის მიზეზი და ანგარიში. ვიდრე კრება შეუდგებოდა დღის წესრიგის განხილვას, ამხ. ვალ. ჯუღელმა სიტყვით მიმართა კრებას, თუ როგორ დაარსდა გვარდია და რა სამსახური გაუწია მან ჩვენს ქვეყანას. დღის წესრიგი: 1) მუდმივი შტაბის ყარაული. 2) შტაბის რეორგანიზაცია. მუდმივი ყარაულობა უნდა ხდებოდეს რიგ რიგობით ყველა ამას თვალ ყურს უნდა ადევნებდეს მორიგი შტაბის წევრი. შემდეგ ამისა მოხდა რეორგანიზაცია.

არჩეულ იქმნენ შტაბის წევრად: ბედენაშვილი ნ., ვაშაკიძე ანდ., კოკელაშვილი ა., მეგრაბიანცი ას., მანუკოვი არ., არამჯანოვი ქ., ალიხანოვი ივანე, და კანდიდატებათ: ლორია ე., ძამაშვილი ა. ბეჟაშვილი სიმონ.

ი. ხუციშვილი.

# რუსეთის ცხოვრება

**მოწოდება რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.**

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს.**

ბოლშევიკური ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, სამოქალაქო ომის პრაქტიკაში თვითგასამართლებასთან ერთად გახშირდა სასიკვდილო ინსტიტუტი მძევლობისა, რომლის მეოხებითაც არამცთუ თავისუფლებას, არამედ—სიცოცხლესაც ასალმებენ ხალხს, ამა თუ იმ მეომარ სახელმწიფოების მიერ ჩადენილ საქმეების გამო.

მძევლებს იჭერდნენ და ჰკლავდნენ, როგორც ბოლშევიკები, ისე მათი მოწინააღმდეგეები—კალედინი, კრასნოვი, ბურჟუაზიული მეამბოხენი, ჩეხო-სლოვაკები და ის მთავრობები, რომელნიც აღმოჩნდნენ დანაწილებულ რუსეთის მხარეებში.

მაგრამ საერთაშორისო სოციალიზმის სასირცხოდ, პარტიები, რომლებიც ითვლებოდნენ მათ რიგში და ხშირათ მათის სახელით გამოდიოდნენ, არიან მეთაურნი ამ სამარცხვინო და ბარბაროსულ საქმეებისა. ბოლშევიკებმა პირველად შემოიღეს მძევლების ინსტიტუტი და ამით ისინი ფართოდ ხელმძღვანელობდნენ: გზავნიდნენ ერთ და იმავე დროს ასობით და ათასობით ხალხს. მათ შემოიღეს მძევლობა როგორც ქალების, ისე ბავშვების. როგორც ეს ახლახან მოიმოქმედეს კერენსკის ოჯახის მიმართ. ბოლშევიკებმა შეიპყრეს და გამოაცხადეს მძევლებათ—კერენსკის მეუღლე, მისი მოხუცებული დედა და არასრულწლოვანი შვილი. ამავე დროს, ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მებრძოლი მთავრობანი ან ხელს აფარებენ მძევლობის პრაქტიკას, სიჩუმით ხვდებიან მას, ანდა მიმართავენ ხოლმე მას ბოლშევიკების მოქმედების საპასუხოთ, ანდა აცხადებენ პროტესტს ამ აქტის წინააღმდეგ (სამარის დამფუძნებელი კომიტეტი) და იძულებული არიან ითმინონ ყველა ეს, როგორც სამხედრო მოქმედების მიერ გამოწვეული ექსცესები, რომელიც არ შედის სამოქალაქო მთავრობის განკარგულებაში, მხოლოდ ბოლშევიკებმა დააკანონეს ოფიციალურად კაციჭამიობა, საჯაროდ აცხადებენ, რომ ჩვენი ერთი კაცის თავზე ავანაზღაურებთ მტრების ათას თავსო“.

ეს არ კმარა მათთვის! ინსტიტუტი მძევლობის არსებობს არა მარტო იქ, სადაც საომარი მოქმედებაა, არამედ—დაკანონებულია საერთოდ ბოლშევიკების მართვა გამგეობაში, დაწესდა მძევლობა მტრების წინააღმდეგ ნორმალურ ბრძოლის სისტემათ.

ლენინის მოკვლის განზრახვის საპასუხოთ, მათ სხვადასხვა ქალაქებში შეიპყრეს რამდენიმე ათასი მძევალი და თვით ბოლშევიკების პრესის ცნობით, უკვე დახვრეტილი არიან პეტროგრადში 500 კაცი, მოსკოვში 100, ნიჟნი-ნოვგოროდში 41, რამდენი დახვრიტეს და დახვრეტენ სხვა ქალაქებში—ჩვენ ჯერ არ ვიცით.

ბოლშევიკებს მთავრობამ გამოაცხადა, რომ კაპლანის ქალი, რომელმაც ესროლა ლენინს, იყო წინათ ანარქისტი და შემდეგ შევიდა ს.-რ. პარტიაში. მართალია ეს თუ არა, არ ვიცით, რადგანაც როიდ კაპლანი იყო დახვრეტილი გაუსამართლებლივ, საიდუმლო ინკვიზიტურ დაკითხვის შემდეგ, არაჩვეულებრივ კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ კომისიის გადაწყვეტილების თანახმათ და გამოძიების ოქმიც კი არ გამოაქვეყნეს.

ბოლშევიკების მთავრობამ აქნობამდის არამც თუ არ დაამტკიცა, არამედ—არც ცდილა დაემტკიცებინა, რომ მოკვლის განზრახვა ესერების პარტიის მიერ იყო დადგენილი, ანდა მისი თანხმობით მოხდა.

ოფიციალურ ბოლშევიკების გამოცემებში მოთავსებულია ესერების ცენ. კომ. განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ამ პარტიას არავითარი წილი არ უდევს ლენინის მკვლელობის განზრახვაში, ამის საპასუხოთ ბოლშევიკების მთავრობის ბრძანებით დატყვევებულ იქნენ მძევლებათ ყველა წევრები ესერების ცენტრალურ კომიტეტისა, პარტიისა, რომელიც შედიოდა ინტერნაციონალში იმავე წესით, როგორც ბოლშევიკები: ბოლშევიკების მთავრობა ოფიციალურათ აცხადებს, რომ მძევლები დახვრეტილ იქნებიან არა მარტო აჯანყების და ტერორისტულ აქტების ჩადენისთვის, არამედ „საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გაწეულ აგიტაციისათვისაც“, ესე იგი, დაისჯებიან ყოველივე ზეპირ დაწერით კრიტიკის გამწევნი, დაისჯებიან ისინი, ვინც განუმარტავს მუშებს რომ ბოლშევიკებმა წაიყვანეს იგინი დამღუპველი გზით, და რომელზედაც ამაოთ ცდილობენ მათ გაჩერებას.

ჩვენი პარტია ყველგან გადაჭრით აცხადებს პროტესტს საშუალო საუკუნოების ბარბაროსობის აღდგენის წინააღმდეგ. იქ, სადაც დაცულია კიდევ პოლიტიკური თავისუფლება, ანდა დარჩენილია მისი ნასახი მაინც, ჩვენ არა ერთხელ დაგვიცავია ბოლშევიკები მძევლობისაგან, თვით გასამართლებისაგან და დახვრეტისაგან, არა მარტო სამარის დამფუძნებელ კრების კომიტეტის რაიონისა, ციმბირის მთავრობის რაიონის, ყუბანის, უკრაინის, იაროსლავში აჯანყების დროს, არამედ—სხვა ქალაქებშიც.

მაგრამ იქ, სადაც ჩვენი პროტესტი საჭირო არის, სადაც უფრო ფართოდ არის გავრცელებული მძევლობა, და სადაც საერთაშორისო სოციალიზმის ღირსება სასწორზედ არის დადებული,—ბოლშევიკების საბრძანებელოში, ჩვენი ხმა დახშულია. ჩვენი პარტიის წევრები, მათ შორის ნახევარი წევრები ჩვენი ცენტრალურ კომიტეტის, ბოლშევიკების ციხეებში სხედან. ათობით დახვრიტეს გამოუძიებლათ და გაუსამართლებლათ სოციალ-დემოკრატები, ჩვენი ორგანიზაციები დარბეულია, ჩვენი პარტია ფაქტიურათ კანონს გარეშე არის გამოცხადებული და სარდაფებში არის ჩაბმული, ყოველივე პოლიტიკური კრებების გამართვა აკრძალულია, სიტყვის თავისუფლება მოსპობილია, არავითარი პრესა არ არსებობს, გარდა მთავრობის გამოცემების და ერთი გაზეთის, რომელსაც ცხადათ ეტყობა გერმანელებისა არის და ამიტომაც აქვს უფლება იარსებოს საბჭოთა რუსეთში.

ამ მდგომარეობის გამო, ჩვენ ვთვლით მოვალეობათ აღვიმაღლოთ ხმა პროტესტისა, მუშათა ინტერნაციონალის წინაშე, რომლის დროშასაც ბღალავენ ბოლშევიკები თავისი

მოქმედებით. მუშა-სოციალისტები ყველა ქვეყნისა ვალდებული არიან ჩაერიონ და შეაჩერონ ბოროტ-მოქმედებები, რადგანაც მათ ღირსებას ეხება ეს და საერთაშორისო სოციალიზმის ღირსებაზეა ლაპარაკი.

ცენტრალური კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

## ერობა გორის მაზრაში და ჯავის რაიონი

გორის მაზრაში ერობა უკვე შეუდგა თავის საქმიანობას. 17 ნოემბერს მოხდა ერობის ხმოსანთა წინასწარი თათბირი, დამფუძნებელი კრება კი დანიშნეს 2 დეკემბრისათვის. თათბირზე გამოიხატა ის სურათი, რომ გორის მაზრაში ერობა თითქოს მიაღწევს თავის დანიშნულებას და გაამართლებს იმ დაპირებებს, რომელზედაც არჩევნების დროს ჩვენ ხალხს ვეუბნებოდით.

თათბირის გახსნისთანავე ამხ. მ. კობერიძე აცხადებს, რომ გორის მაზრა იყო ცხრა რაიონათ დაყოფილი და არჩევნები ერთი რაიონის გარდა ყველგან დამთავრდა. ხმოსნებში არიან: 2 სოც. ფედერალისტი, 1 დაშნაკელი, 1 ნაც. დემ. და 36 სოც. დემოკრატიო, ე. ი. სულ 40 ხმოსანია მაზრაში.

ახლა ვიკითხოთ, რათ ჩამორჩა ერობას ეს მე 9 რაიონი ე. ი. ჯავის რაიონი?—„ჩვენ ჯერ ერობა არ გვინდა. მენშევიკების პარტიას არ დაუჯეროთ. მათ შარშანაც მოგატყუილეს და პირველ ნომერს მიგაცემინეს ხმა. გამოგვიყონ ოლქი და მერე ერობაც ჩვენ ვიცით და ყველაფერიცო" და სხვა და სხვა. აი ამ სიტყვების წყალობით არ მოხდა ჯავის რაიონში ერობის არჩევნები. მერე ვინ ამბობს ამ სიტყვებს, ფართო მასსა თუ რამოდენიმე პირი? მშრომელი ხალხი—ფართო მასა აქ არაფერ შუაში არაა. ოსის მშრომელი ხალხი ძალიან კარგათ მიხვდა თანდითან, რომ სწორეთ მენშევიკებია მათი ინტერესების დამცველი და არა ისინი, რომლებიც სიტყვით „მართალნია" და საქმით კი კუზები. რომლებიც ხალხს თეთრ პურსა ჰპირდებიან და შავსაც კი არ აძლევენ.

სამწუხაროთ, ჯავაში ჩვენ არა გვყავს დემოკრატიული ძალები, რის გამოც ღარიბი ხალხი ყველაფრით ჩამორჩენილია და თუ ქართველმა დემოკრატიამ ხელი არ გაუწოდა იქაურ მშრომელ ხალხს, მაშინ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდებიან.

ჯავაში თავს იყრის რამდენიმე ცენზიანი ინტელიგენტი, რომლებიც გამოდიან: ესერების, „ინტერნაციონალის", უპარტიო და ბოლშევიკების სახით. ნამდვილათ კი ნაციონალშოვინისტებია და თავიანთი კერძო ინტერესების დამცველნი, მათთვის ხალხი თუგინდ წყალსაც წაუღია. რომ ეს მართალია, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს: სოფ. დოდოთიდან ვიღაც ნანიშვილი მოვიდა ექიმ ქარსანოვთან და სთხოვა, რომ ავადმყოფი ჰყავს და სახლში წაჰყვეს ცხენით. ბატ. ექიმმა ქარსანოვმა უთხრა, რომ ორი საათი აქედან მოუნდება სიარულს, ორი იქიდან და ამის ფასი კი შენ რა უნდა მომცეო და სხ. ამის შესახებ 15 ნოემბ. ეროვნულ საბჭოს სესიაზე ცხინვალში ამხ. კ. ძებისაშვილმა გაილაშქრა ქარსანოვის წინააღმდეგ, რომელმაც უპასუხა, რომ ასეთ გალაშქრებაზე შენ და ბაბინოვებისთანებთან მე პასუხის გაცემასაც არ ვიკადრებო და სხ. ბ. ქარსანოვი თავის თავს კი „ინტერნაციონალისტს" უწოდებს.

აი ასეთი ხალხი დღეს გამოდიან და ოსის ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, რომლებიც ერობით სარგებლობასაც კი უსპობენ მშრომელ ხალხს. მაგრამ იციან თუ არა ამ ვაჟბატონებმა, რომ ოსის დემოკრატია ქართველ დემოკრატიის დახმარებით ასე უყურადღებოთ არ დატოვებს თავის ტანჯულ ხალხს? იციან თუ არა, რომ დემოკრატია მათ ნებას არ მისცემს მშრომელი ხალხის ასე აბუჩათ აგდებაზე და ყოველი შეცდომისთვის პასუხს აგებინებს? ეს კარგათ უნდა იცოდეს ჯავის ინტელიგენციამ. გორის მაზრაში ერობა უკვე შეუდგა საქმიანობას, ჯავის რაიონს კი იქ არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი. ეს ერთი შეცდომათაგანია.

ჩვენ მოუწოდებთ ოსის მშრომელ ხალხს, რომ ის მჭიდროდ შეუკავშირდეს ქართველ დემოკრატიას და ამით გაუძლევს თვითონ თავის კეთილ საქმეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდი დღე მოგველის. ხალხმა თავისი საქმე თვითონ უნდა გააკეთოს. და უკუ აგდოს ყველა ჯურის შოვინისტები, „ინტერნაციონალიზმის" სამოსელში გახვეული, რომელნიც დემოკრატიათა შორის მხოლოდ ლა მტრობას და შუღლს სთესენ.

ან. ხიბილოვი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** 27 ნოემბერს შესდგა საქართველოს პირველ რაიონის სოც. დემ. მუშ. პარტიის კოლექტივის, ამავე რაიონის ქვე-კოლექტივების, სამოქალაქო კომიტეტის და რკინის გზის მუშა მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრთა კრება, ამხ. ბახტაძის თავმჯდომარეობით.

ამხ. ბახტაძე აცნობს კრებას ნაძალადევის მუშათა კლუბის მდგომარეობას: ზაფხულში წარმოდგენებს და სინემატოგრაფს ხალხი ბლომათ ესწრებოდა და მოგებაც კი რჩებოდა—დღეს სიცივეების და თეატრის შენობის შეუკეთებლობის გამო ხალხი ცოტა ესწრება და მიმდინარე ხარჯებს ვეღარ ჰფარავს შემოსავალი—თუ რაიონის ორგანიზაციებმა არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა კლუბის საქმეების მოგვარებაში და ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი უნდა დაიხუროს. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღუთქვეს კლუბს ნივთიერი დახმარება და კლუბი განაგრძობს თავის მოქმედებას. შემდეგ ამხანაგები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში გამეფებულია „საბოტაჟი". დიდი ნაწილი მოხელეების და ადმინისტრაციის სინდისიერათ არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას. ერთი ამხანაგთაგანი უთითებს კრებას, რომ მთავარ სახელოსნოს რამდენიმე ცეხში მუშაობა შეჩერებულია მაზუთის უქონლობის გამო, ადმინისტრაცია კი ყურს არ იბერტყავს, თითქო ეს მას არ ეხებოდეს.

კრებამ მიანდო პროფესიონალურ კავშირის გენერალურ გამგეობას გამოსთქვას თავისი აზრი აღნიშნულ კითხვების და შტატის შემცირების შესახებ. და შემდეგ ამისა შემუშავებულ იქნეს ზომები მთავრობის წარსადგენათ.

პარტიულ ყრილობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლათ კრებამ გადასწყვიტა, დანიშნოს პირველ რაიონის წევრთა კრება სამ ადგილას: დეპოში, საქ. სადგურზე და ნაძალადევის თეატრის შენობაში. რაც შეეხება დამფუძნებელ კრების არჩევნების ფონდის სასარგებლოთ ფულის შეგროვებას, კრებამ გამოსთქვა სურვილი ფული მოგროვდეს სასწრაფოთ პარტიული ყრილობის დადგენილების თანახმად.

წლიგანი გ. ფოფხაძე.

## პროვინცია

**ჭიათურა.** ჭიათურის ქალთა საზ. გამგეობამ ივლისში მოკრიბა შემოწირულება ჭიათურის მოქალაქეთა შორის, ჩვენი სახელოვან ჯარისკაცების და სახალხო გვარდიელებისთვის, რომლებიც მაშინ ებრძოდნენ საჩხერის რაიონში ყაჩაღთა ბრბოებს. ფულად მოკრებილ იქნა 649 მან. 50 კაპ. და სანოვაგე ოთხას მანეთამდე ღირებული. მოკრებილ თანხიდან მოგროვილ სანოვაგეს მიემატა კიდევ სანოვაგე 147 მ. 20 კ. და ყველა ეს საჩხერეში გადაეცა რაზმის სურსათის გამგეს გამყრელიძეს დანიშნულებისამებრ გასაგზავნათ. მოხსენებულ ყაჩაღთა ბრბოსთან ბრძოლაში დაღუპულ ალექსანდრე ბრეგვაძის დედას მიეცა დახმარება 150 მან. ორი კვირის განმავლობაში ჯარისკაცებს და სახალხო გვარდიელებს პოზიციაზე ეგზავნებოდათ ოთხი სხვადასხვა მიმართულების ქართულ-რუსული გაზეთები რვა ცალი 200 მან. საჩხერიდან აქ დასასვენებლად ჩამოსულ ჯარს დაურიგდა: პაპიროსები და ასანთი 150 მან. წერილების გასაგზავნი ხარჯი 2 მ. 30 კ. სულ 649 მ. 50 კაპ ქალთა საზოგ. გამგეობა ულრმეს და უგულითადეს მადლობას სწირავს ჭიათურის მოქალაქეთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავიანთ წვლილი გაიღეს ჩვენი მამაც, სამშობლოსათვის თავდადებულ და თავისუფლების დამცველ მებრძოლ რაზმისათვის, რომლებიც თავიანთ სიცოცხლის შეწირვითაც უკან არ იხევდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ „ბანდებს".

ჭიათურის ქალთა საზ. გამგეობა.

## განცხადებანი


**დაიკარგა** 3 დეკ. ნაძალადევში უვადო „პასპორტი", 500 მან. ფული და ს. დემ. მ. პ. 1-ლი რაიონის მიერ მოცემული პარტიული ბილეთი. მნახველს ვსთხოვ ფული თითონ დაიტოვოს და დანარჩენი გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ჩერქეზიშვილის ქ., № 181, მიხეილ ანტონის ძე ზარდალიშვილს.

**ბიურო** საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის ტფილ. ორგანიზაციის მე-4 რაიონულ კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 3—7 საათამდე.

ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ საწევრო გადასახადისა და საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ გადადებული დღიური ხელფასის მიღება ხდება ბიუროში ზემოთ აღნიშნულ საათების განმავლობაში.

**გაიხსნება კერძო სამკურნალო** მუდმივი საწოლებით. მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი. მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

**რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის გ. მერაბოვისა** (რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭიპების. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. **ღარიბებს უფასოდ.**

**მიხეილის კერძო სამკურნალო** მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ხმებით 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და სამეფო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სანაშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო** (მუდმივი საწოლებით) **ექიმი დონხინისა** ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმ ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი** იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოვ..." პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე** ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი დ. ზ. ნიჟარაძე** იღებს ავათმყოფებს დღის 2—4 საათ. ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 9. (12—8)

**ექიმი შ. ა. შაფრანი.** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და ხაშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**მე. ქალი ს. ა. [illegible]** [illegible] ... შინაგან, ქალისა და ვენერიული ავადმყოფებს და იღებს ... დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

**ექიმი ა. ნ. შატილოვი** იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი შ. შ. მუხაძე** იღებს საღრმესტაქრო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67; ... ტელ. № 5—77

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**ექიმი პ. ტ. ლორთქიფანიძე** (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზაროვის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

**მედიცინის დოქტორი ა. გ. მაჭავარიანი** იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

**ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია** ... შინაგანი, ... მალარია, ... ნაკლებობა, ... საშარდე მილის სიავადმყოფე, სიფილისი და შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექიმი ქალი ე. ს. ქარუმიძე—ბიბურიშვილი.** იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ იძლევა სამედიცინო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

**კბილის საექიმო კაბინეტები თედორე საყვარელის ძე ცხოვრელიძისა** ავადმყოფებს მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—85.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე** ... შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ... ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათა, ბავშვთა და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, საშხაპუნოს აფთიაქის გვერდით.

## ქართული კლუბის თეატრი

კვირას, 8 დეკემბერს, 1918 წ.

ავლაბრის ახალ თავშესაფარის (სვილანოვის ყაზარმები) სასარგებლოდ გაიმართება

**პლასტიკისა და ცეკვის საღამო**

სრული ლისიციანის სტუდიის მოწაფე ქალთა მიერ

დასაწყისი საღამოს 7 საათ.

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები—თეატრის კასაში.

## მეოთხე რაიონის კოლექტივი

კვირას, 8 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა № 29 სახლი არამიანცისა) იწვევს საქ. ს. დ. მუშათა პარტიის მეოთხე რაიონის წევრთა

**საერთო კრებას**

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მე 8 ე პარტიულ ყრილობის დადგენილებისა, 2) ანგარიში კოლექტივის მუშაობისა, 3) ხელ-ახალი არჩევნები რაიონული კოლექტივის, 4) არჩევნები ტფილისის კომიტეტის წევრების და 5) მიმდინარე კითხვები. მეტად მნიშვნელოვან კითხვების გამო წევრთა დასწრება სავალდებულოა.

რაიონული კოლექტივი.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

შაბათს 7 დეკემბერს ა. მ. კანშინის ბენეფისი.

შულგინის, იანსას, კანშინის, პოლიაევის მოლჩანოვის, ისეცკის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება **ნერონი** დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

კვირას 8 დეკემბერს

დილით **„ქიდოვკა"** საღამოთი **„ლაკმე"**

სამშაბათს, 10 დეკემბერს „აიდა".

მთელ საქართველოში 8 დეკემბერს მოეწყობა საჯარო გაყიდვა ლატარიის ბილეთებისა

**შეიძინეთ ბილეთები**

და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზედ ერის წინსვლისათვის ესოდენ საჭირონი—**უნივერსიტეტი და თეატრი!**

## საჯარო ვაჭრობა

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, დღის 12 საათზე ქალაქის გამგეობას ინდასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა**

იჯარით გაცემა ავლაბრის ბაზარზე მდებარე ქალაქის საბალახო ადგილები. კონდიციებისა და ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება საიჯარო-სადგურმეურნეობო განყოფილების კანცელარიაში სამეცადინო საათების დროს. (2—2)

**დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე**

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია

**საზოგადო კრება** აღნიშნული საზოგადოებისა

გ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე. **სახალხო სახლი.**

შაბათს 7 დეკემბერს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება

**არსენა**

დრ. სამს მოქმედებად ალ. ყაზბეგისა.

მონაწილეობას იღებენ: თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი დუმბაძისა, ი. ბარველი, ა. ივერელი, ნ. გოცირიძე, ი. რომანიშვილი, ს. ტარუაშვილი, ვ. კობელი, ი. მინდიაშვილი, რ. სალუყვაძე, სამხარაძე.

რეჟისორი ი. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუსიძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.